# სახალხო გაზეთი

№ 552 შაბათი, 17 მარტი, 1912 წ. № 552

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

სურათებიანი დამატება

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს **გრდემლს.**

1 მარტიდან წლის ბოლომდე ღირს 7 მ. 50 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

## ქართული თეატრი

შაბათს, 17 მარტს 1912 წ. ქართულ ენაზე წაიკითხავენ

ლ ე ქ ც ი ა ს

ი. გომართელი, შ. ალექსი-მესხიშვილი და გ. ჟორდანია

,,ოჯახი როგორც საზოგადოებრივობის გამოხატულება''

I სოციალური მხარე — გ. ჟორდანია.
II იურიდიული მხარე — შ. ალექსი-მესხიშვილი.
III ზნეობრივი მხარე — ი. გომართელი.

ლექცია დაიწყება 8 საათზე. ბილეთების ფასი მანეთ-ნახევრიდან 20 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (3—299—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ იტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

**გ რ დ ე მ ლ ი**

ფასი 1 მ. 50 კ. ( თ.1098.34)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

**კ ა ფ ე - პ ა რ ი ზ ი**

ქართვ. თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 სთ. ✦ 1—5 ს. ✦ 5—2 ს.

საუზმე 30 კ. ✦ სადილი. ✦ ვახშამი—30 კ.

**ყოველ დღე:** ლი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ-არეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახი ბ ლიარდი ბოცისა. საჭმელებს სახლებშიაც ვაძლევთ თვიურად, დიდის შეღავათით. (თ.—113—8)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევისქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალურ განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფს მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვ. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვა. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ორბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვ. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვ. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანც. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვ ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მჭარეიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოსა მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწოლი. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 წამლის შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—295)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ

შინაგან სნეულებთამდე. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კაიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ.100—534—178)

შეიძლება დაკვეთა: **ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თხზულებანი**

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა **ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto. **ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 10 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში და ტფილისის კერძო სამკურნალოში (ქსენიევის ქ., № 7). ფოსტით ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამ მისამართით (აგრეთვე ყოველნაირი მიწერ-მოწერისათვის):

Тифлисъ, Коргановская № 20, собст. д. Д-ру Мих. Гедевани. (3—1153—2)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი წიგნები:**

საქ. ისტორია, ვახუშტისა 2 მ. —
ქართლის ცხოვრება, მარ. დედ. ვარიანტი 4 „ —
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა ე. თაყ. 40 კ.
სტატისტ. ცნობები საქ. შესახებ მე-XVIII საუკ. 2 „ —
Законы царя Вахтанга 3 „ 50 „
ქილილა და დამანა 1 „ —
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი 1 „ —
„ რ. ერისთავისა II ტ. 40 „
„ პუშკინისა 50 „
ქართ. სიტყვ. ისტორია, ხახანაშვილისა 1 „ 25 „
რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 „ 40 „
ვეფხის-ტყაოსანი, 60 „
„ საუკეთესო გამოცემა 10 „ 65 „
იგავ-არაკნი, ნათ. აკაკისა 50 „
თორნიკე ერისთავი, აკაკისა 35 „
ქართ. პოეტების რჩეული ლექსები 25 „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა 30 „
ამოდის ნათდება, ვაჟასი 15 „
ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა 7 „
ბურ. ი ეროვნებისა, მისივე 20 „
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი მისივე 5 „
თავდადებულ. ქართველნი, მისივე 7 „
იავნანამ რა ჰქნა? მისივე 5 „
ალი, ლომაურისა 10 „
რობინზონ კრუზე 30 „
გულივერის მოგზაურობა 30 „
სვიის გვირგვინი, შმიდტისა 15 „
მტრედი, მისივე 10 „
მამის ერთგული, მისივე 15 „
ყოველის მხრიდან 10 „
ფიზიკ. გეოგრაფია, იაშვილისა 20 „
ნაწყვეტ. პოლიტ. ეკონომიიდან 50 „

**ახალი წიგნები:**

ეტიუდები მე-XIX ქართ. ლიტერატ. შესახებ ტ. I, კ. აბაშიძისა 70 „
გრდემლი, სალიტ. კრებული I. 1 „ 50 „

წიგნები ფას-დადებითაც იგზავნება. **ადრესი** ტელეგრამისთვის: Тифлисъ Грамотность. (წ.—1141—9)

**გამოვიდა და იყიდება**

**თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში) და წ.-კ. საზოგადოებისა და ი. მერკვილაძის წიგნის მაღაზიებში (ტფილისში) **კიტა აბაშიძის** ახლად გამოცემული თხზულება: ,,ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ''.

ტომ. I, ფასი 70 კაპ. (10—1162—1)

## საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 259)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 130)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ზა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606 -ით.** (წლ. 1090 298)

**გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову). (თ. 1084.115)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 103).

**ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი, —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—59.

**ექიმი** ქ. ქ უ თ ა ი ს ი. **იროდიონ ამბროსის ძე ც ე ხ ა ნ ო ვ ს კ ი**

ღებულობს შინაგან საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავადმყოფებს დილის 10—12 და საღ. 5—7 ს., ქარავან-სარაის და მიხაილოვის ქ. კუთხე სასტუმრო ,,ლონდონი''. (თ.—129—18).

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა **ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს ა **იოსებ ზაქარიას ძე კ ა ნ დ ე ლ ა კ ი**

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50-1552--50)

**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.71).

**ექიმი შ. ა. მ ი ქ ე ლ ა ძ ე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—119).

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—50)

**ექიმი ი. ი. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—249—20)


## სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

განსახილველია რამდენიმე პატარა კანონ-პროექტი.

**ისკრიცკი.** მოხსენებას კითხულობს სამ კანონ-პროექტისას. ისინი მოითხოვენ 1906 წლის 21 ოქტომბერს გამოცემულ კანონის მცირეოდენის ცვლილებით ისევ ძალაში დატოვებას. კანონი ნებას აძლევს საუფლისწულო, სამაიორატო დარჩენილ და სხვა მამულის პატრონთ გლეხებს მიუზომონ რომელიმე ნაჭერი. მომხსენებელმა აღნიშნა, კანონ-პროექტს მიზნადა აქვს უმამულო და მცირე მამულიანი გლეხობა უზრუნველჰყოს.

**ალექსეევმა** პირველ მუხლის გამო სთხოვა, მიწის შეძენის უფლებას პროექტი მხოლოდ ადგილობრივ გლეხობას აძლევს, რუსის ხალხი კი იძულებული იქნება ციმბირის „ტაიგაში“ ეძებოს მიწა-წყალი, როგორც უცხომაო. ეს დამცირებაა რუსის ხალხის ღირსებისა და უფლებისა. მოლაპარაკეს საჭიროდ მიაჩნია, რომ პროექტი ხელმეორედ კომისიას დაუბრუნდეს.

**მომხსენებელმა ისკრიცკიმ** უპასუხა ალექსეევს: ალექსეევი სცდება, კანონ-პროექტს საპოლიტიკო მიზანი სრულიად არა აქვს. კომისიამ შესაძლებლად სცნო ნება დაერთო მიწის ნაჭრობით გაყიდვისა, რადგანაც ჰსურს უზრუნველჰყოს გლეხობაო. სამაიორატო მიწებს ახლო მცხოვრები გლეხები, განსაკუთრებით გაჭირვებულნი, პოლონეთის სამეფოში არიანო.

**ბარონმა ფელკერზამმა** სთქვა, რუსეთში მიწის ნაკლებლობა არ არის. არსებობს მხოლოდ მიწა-წყლის შიმშილი და ამ შიმშილს სწირავენ მსხვილ და საშუალო მიწადმფლობელობასაო. ამისთანა სააგრარო პოლიტიკა სპობს კულტურულ ელემენტებს, რომელნიც ადგილობრივ ცხოვრებას ხელმძღვანელობას უწევენ. რუსეთის კულტურიანი კლასი გაღატაკების გზას დასდგომია და უიმისოდ კი ერობა და ცხოვრების ხელმძღვანელობა გაუნათლებელთა ხელში გადავა. მოლაპარაკემ შეიტანა შესწორება; პოლონეთის სამეფოს სამაიორატო მამულების ცალკე ნაჭრებად გაყიდვის ნება მიეცეთ მხოლოდ მაშინ, თუ მამულში, გაყიდვის შემდეგ, 500 დესეტინაზე ნაკლები არ იქნებაო.

**შიდლოვსკიმ** აღნიშნა, 1906 წლის კანონი მიწად-მოწყობის საქმისათვის უფრო გამოსცესო. იქ ნათქვამი იყო, სამაიორატო მიწების ნაჭრობით გაყიდვა შეიძლება მხოლოდ იმ გლეხებზე, ვისაც იჯარით უჭირავს, ან და მეზობლად აქვთ ნაჭერი მიწა. ვერ მივემხრობი ალექსეევის ნაციონალიზს და ვერ ვიტყვი: „ინოროდცებში“ მიწის საჭიროებას ნუ დავაკმაყოფილოთ მეთქი.

**გრაბსკიმ** აღნიშნა, კომისიის რედაქცია უზრუნველჰყოფს გლეხობის ხელში მიწის გადასვლის საქმეს და მეტია ალექსეევის მოთხოვნილება, სიტყვა „ადგილობრივი“ გამოსტოვეთო. ეს რუსთა და პოლონელთა ქიშპობას გამოიწვევს, ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, ეს კია ორივე იზარალებსო.

**ციტოვიჩს** არ მოსწონს მთავრობის სამიწათმფლობელო პოლიტიკა და ამბობს: ეს კანონ-პროექტებიც რუსთა მამულებს პოლონელებს ჩაუგდებს ხელშიო.

**ბერეზოვსკიმ** სთქვა, სამაიორატო მიწები უნდა მიჰყიდონ ყველა გლეხს, განურჩევლად ეროვნებისაო.

**ბარონ შილლინგის** აზრით, ეს კანონი მაიორატებს გააქრობს და პოლონელ მაგნატებს დაუმორჩილებს ყველაფერსაო და ამიტომ მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას.

**გრაფმა უვაროვმა** აღნიშნა, პოლონეთისა და ბალტიის მხრის მაიორატებს შუა დიდი განსხვავებააო. პოლონეთის მაიორატები ძალით მოახვიეს მათ პატრონებს, ისინი არც კი სცხოვრებენ იქაო და ამიტომ მოითხოვა მათი გაყიდვის ნებართვა.

გადასწყვიტეს მუხლობრივ განხილვა. ჯერ მიიღეს 79 ხმით 78 წინააღმდეგ და შემდეგ უარჰყვეს ტალანში გასვლით 94 ხმით 86 წინააღმდეგ სკოროპადსკის შესწორება, რომელიც სიტყვა „ადგილობრივის“ გამოტოვებას მოითხოვდა. მიიღეს შიდლოვსკის შესწორება 105 ხმით, 71 წინააღმდეგ, თუ მსურველი არავინ იქნება, გარდა კანონ-პროექტში აღნიშნულ გლეხებისა, სხვებსაც მიეცემათ უფლება მიწის სყიდვისა. დანარჩენი მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

**მიწათამფლობელობის დეპარტამენტის დირექტორმა რიტიხმა** მოითხოვა 1906 წლის 21 ოქტომბერს გამოცემულ წესების მეოთხე მუხლის, აღდგენა, რომელიც ამას წინად გამოსტოვეს მუხლი სამიწათფლობელო კომიტეტს ნებას აძლევს აღნიშნოს სედლეცისა, ლუბლინისა და სუვალკის გუბერნიის ზოგიერთი ადგილები, სადაც სამაიორატო მიწათა სყიდვის უფლება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ რუსებსა.

მუხლის აღდგენას მოითხოვენ **ტიჩინინი, ალექსეევი, ტიმოშკინი,** წინააღმდეგნი არიან— **ბულატი, გრაბსკი, სკრიცკი.**

მთავრობის წინადადება უარჰყვეს 101 ხმით 73 წინააღმდეგ.

მიიღეს კანონ-პროექტი იმ გლეხთაგან თავის გამოსყიდვისა, რომელნიც ბალტიის მხრის გუბერნიებში სცხოვრობენ თავად-აზნაურთათვის უმაღლესად ნაბოძებ მიწებზე.

შემდეგი სხდომა 16 მარტს მოხდა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **ალექსანდრეს ბაღი.** ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, ალექსანდრეს ბაღი გაამშვენიეროს და ნამდვილ სასეირნო ბაღად გადააქციოს. აპირობს, სხვათა შორის, მცანარეთა და ხეხ-ილების დარგვას. ამასთანავე შეკეთებულ იქმნას ბაღში მდებარე წყლის ორი აუზი. ან არა და მის მაგივრად ახალი აუზები იქმნას გაკეთებული. ამის გამო ქალაქის გამგეობამ ინჟინერს ქურდიანს დაავალა, რამდენად დაჯდება ამ აუზების შეკეთება და რამდენად—ახალ აუზების გაკეთება.

**ბ-ნი სავაიტსკი**, უწმ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტის წევრი, რომელიც კავკასიაში იყო ჩამოსული სასულიერო სასწავლებლების დასათვალიერებლად, პეტერბურგს დაბრუნდა.

◆ ტფ. გუბერნატორი შუამდგომლობს ნამესტნიკის წინაშე, რათა ახალქალაქის მეორე გილდის ვაჭარს არშაკირ არტემის ძე დიატიანცს ნება დაერთოს საავტომობილო მიმოსვლა გამართოს ახალციხე-ახალქალაქს შუა, ხოლო ზაფხულობით ახალქალაქ-ბაკურიანს შორისაც.

◆ 26 თებერვალს ზემო-ქართლის რაიონის აგრონომის ე. კარბელაშვილის თაოსნობით სოფ. **ზემო გომში** გაიმართა თათბირი, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვა და სხვა სოფლებიდგან მოსული მემაულენი, როგორც გლეხები ისე თავად-აზნაურთაგანნი. თათბირზე ბ. კარბელაშვილმა დამსწრეთ გააცნო მიზანი **ქართულ სამეურნეო საზოგადოებისა**, და კერძოთ აგრონომისა. და კერძოთ აგრონომისა. და სთხოვა დახმარება ასეთი მიზნის განსახორციელებლად. დამსწრენი დიდის სიამოვნებით მიეგებნენ ასეთ წინადადებას და აღუთქვეს, შეძლებისა დაგვარად, დახმარება. 7 კაცი მაშინვე ჩაეწერა საზოგადოების წევრად. ბ. კარბელაშვილმა დაურიგა მსურველთ სხვა და სხვა თესლეულობა.

◆ **ლექცია.** დღეს, ქართულ თეატრში, საინტერესო ლექცია არის დანიშნული. კითხულობენ ბ-ნნი: ივ. გომართელი, ბ. ალექსი-მესხიშვილი და გ. ჟორდანია შემდეგს თემაზე: „ოჯახი, როგორც საზოგადობრივობის გამოხატულება“. პირველი ლექტორი შეეხება ოჯახის ზნეობრივს მხარეს, მეორე—იურიდიულს და მესამე—სოციალურს. ლექცია საღამოს 8 საათზე დაიწყება.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას** გუბერნატორმა ნება დართო, ქალაქ სიღნაღში საზოგადოების განყოფილება გახსნას.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ** 18 მარტს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზე ი. პალმოვი სახალხო სახლში ლექციას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი“ (მისი ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა).

◆ **ვასილ ალაევის მოკვლის** (9 იანვარს) საქმის გამო მაძებარმა პოლიციამ ეჭვით შეიპყრო სასტუმრო „ერმიტაჟ“-ის ლაქია ლავრენტი ექვთიმეს ძე ეფრემოვი და თამამშევის ქარვასლის მეეზოვე იაკობ გრიგოლის ძე ბელოხვასტოვი.

◆ **დაჭრა.** 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში პირად ნიადაგზე ჩხუბი მოუვიდათ გამგეობისავე მოსამსახურეებს: ბუღალტერის თანაშემწეს გრიგოლ ბოღდანას ძე მაქაროვსა და საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ალექსანდრე იაგორას ძე მიკირტუმოვს. ჩხუბის დროს პირველმა მეორეს სილა გაარტყა. მიკირტუმოვმა საპასუხოდ ბებუთი ამოიღო ჯიბიდან და მაქაროვი ოთხს ადგილას დასჭრა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მიკირტუმოვი (სტუდენტია) შეიპყრეს.

◆ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 18 მარტს, დილის 11 საათზე, მოხდება ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. კრება განიხილავს საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს. და თანამდებობის პირთ აირჩევს.

◆ **ქალაქების წარმომადგენელთა კრება.** როგორც ვწერდით, ტფილისში მოწვეულ იქნება 1913 წელს. ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაბეჭდოს და ახლავე გაუგზავნოს კავკასიის ქალაქებს კრების პროგრამა, კრების მოსაწვევად საჭირო ხარჯი შეტანილ იქნება ტფ. ქალაქის 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

◆ **ექსკურსია.** გუშინ ბაქოს გაემგზავრნენ საექსკურსიოდ ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლენი.

◆ დიდმარხვის გამო 17 მარტიდან 26 მარტამდე აკრძალულია წარმოდგენებისა, სინემატოგრაფებისა და სხვა გასართობების გამართვა.

◆ **ჟურნალი „მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს მარტის (5) ნომერი, შინაარსი: 1) „სანატრელი ქვეყანა“ ვ. რცხილაძისა, 2) „ხეხილის გასვლის სხვა და სხვა დანიშნულება“ გ. ნახუცრიშვილისა, 3) „ხელოვნური სასუქები“ ვ. შ—ელისა, 4) „კვება და საკვებავები“ პროფ. გენრისა, 5) „ლონდონის ბაზარი“ „მოსავალი“-ს წარმომადგენლისა და 6) საყურადღებო ცნობები.

◆ **ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნების გამო.** ნ. პ. ქოქჩაევმა გამგეობის წევრობას ავადმყოფობის გამო თავი დაანება და საბჭოს ხმოსნებიც მალე შეუდგნენ ამ თანამდებობაზე კანდიდატების დასახელებას. არჩევნები დანიშნულია ორშაბათს, 19 მარტისთვის. კერძო კრებებს, ხმოსანთა სხვა და სხვა ჯგუფს კანდიდატებად დასახელებული ჰყავს შემდეგი პირნი: ქალაქის მდივნად ნამყოფი, ხმოსანი სტეფ. თევდ. **ჭრელაშვილი**, ქალაქის ახლანდელი მდივანი მიხ. ალექ. **ჯაბარი**, ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიის თავჯდომარე ხმოსანი ა. რ. ფიშერი, ქალაქის იურისკონსულტი მ. ნ. **ათაბეგოვი**, და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი ექიმი გ. ნ. **სტეფანოვი.** საერთო კანდიდატის დასასახელებლად კვირას, 18 მარტს, კერძო თათბირი ექნება ხმოსანთა ყველა ჯგუფს.

◆ **ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა** გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა სოფლელთა განაჩენი გორის მაზრის სოფელ დვანში პირველ-დაწყებით სკოლის დაარსების შესახებ.

◆ **ნამესტნიკს წარუდგნენ** 15 მარტს: სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის გამგე ვ. დ. ბეზობრაზოვი და სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილების გამგე ა. პავლოვი.

◆ **ნ. პ. ქოქჩაევი** გუბერნატორმა სამსახურიდან დაითხოვა, თანახმად ქოქჩაევისავე თხოვნისა.

◆ 15 მარტს ტფილისში 56 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის თვითმმართველობის შემნახველ-გამსესხებელ კასის** წევრთა საზოგადო კრება 18 მარტს მოხდება. კრება განიხილავს კასის 1911 წლის ანგარიშს და საკითხს წესდების რამდენიმე მუხლის შესახებ. დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოხდება.

### სასამართლო

◆ **მკვლელობა.** 15 მარტს ტფილისის სასამართლომ სამსახურს გარეშე მყოფ პოდპორუჩიკის პ. პ. კარიკოვის საქმე გაარჩია. მას ბრალად ედებოდა: სურამში, აფიცერთა საკრებულოში, მზარეულის ივანე ყორანაძის მოკვლა. სასამართლომ პავლე კარიკოვი დამნაშავედ იცნო და ღირსების აყრა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა მიუსაჯა. ამასთანავე მოკლულის ქვრივს თვეში 15 მან. უნდა აძლიოს.

### გორი

◆ **ქარელის მღვდელი ნიკ. ხარატოვი** ამ დღეებში მკვდარი ნახეს ჭაობში ქარელსა და ხვედურეთს შუა.

— კავთისხევთან მტკვარზე ბორანმა მუშაობა დაიწყო.

### დონის-როსტოვი.

◆ 4 მარტს ღამე 15-მდე შეიარაღებული **თავს დაეცა** ოსმალეთის ქვეშევრდომს რამდენიმე ფურნის პატრონს ჰუსეინ ადაბაშევს. მოჰკლეს თვით ადაბაშევი, ხაზინადარი (კასირი) და მძიმედ დასჭრეს ორი მუშა, რომელთაც ადაბაშევის ბინის დერეფანში ეძინათ. ხმაურობისა გამო მძარცველებმა ვერ მოასწრეს ფულის გატაცება და გაქცევა არჩიეს. მეორე დღეს ყველას პირზე ეს საზარელი ამბავი ეკერა. რასაკვირველია ეს ბნელ ძალებსაც არ გამოეპარა და ბაზრებზე ხმის გავრცელება იწყეს—„ტუზემცებს“ ექსპროპრიატორების დიდი ჯგუფი შეუდგენიათ და ეს პირველი ნაბიჯიაო. რამდენიმე დღის შემდეგ მკვლელები შეიპყრეს, მაგრამ „ტუზემცების“ მაგიერ რუსები აღმოჩნდნენ.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომრის რამდენიმე ცალი ისე დაიბეჭდა, რომ ორი წერილის ბოლო, ერთი მეორის ადგილას მოჰყვა. „**ჯანაშვილის ლექციების**“ უკანასკნელი რვა სტრიქონი მიბმული აქვს იმავე გვერდზე მოთავსებულ მეორე წერილს „პასუხად, მღ. ეგ. მენთეშაშვილს“. ხოლო ამ წერილის ბოლო პირველ წერილის ბოლოზეა მიბმული. გარდა ამისა პირველ წერილის ქვეშ უნდა ეწეროს **ლამურა,** მეორეს კი—**ილიკო მენთეშაშვილი.**

# დეპეშა

**პეტერბურგი.**
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში მაკლაკოვს ამტყუნებენ არა იმდენად ტაგიევის დაცვისთვის, რამდენადაც იმისთვის, რომ ზამისლოვსკისთან ერთად გამოვიდა დამცველად. მაკლაკოვს ამართლებს და ესარჩლება დეპუტატი სალათელიანი. მაკლაკოვი „რეჩ“-ში დაბეჭდილ წერილით თავს იმართლებს და ამბობს, ტაგიევი მართალია, დამნაშავე არ არისო. „ნოვოე ვრემია“ ამტყუნებს მაკლაკოვს, გაჭირების დროს „დაშნაკცაკანებს“ თავი დაანება და ბაქოში გაიქცა.

# საბურთალო

თებერვლის დამდეგიდან დაიწყეს საბურთალოზე ქურდ-ბაცაცებმა თარეში და აღარა შეარჩინეს რა საწყალ, ღარიბ-ღატაკ მოსახლეებს. ისე ღამე არ გავა, რომ არ მოიპარონ ქათამი, ბატი, ლოგინი და სხვა რამე. საბურთალო არც ისე დაშორებულია ტფილისიდან, რომ ქალაქის მამებისაგან ყურადღების ღირსი არ იყვეს. მცხოვრებლების მეტ წილს ჰსურს, ქალაქთან შეერთება, მაგრამ არავინ ჰპატრონობს. მარტო მალაკნები არიან წინააღმდეგნი.

საითაც მიიხედოთ, ჰყრია: მკვდარი ძაღლები, კატები და ჭირისაგან დახოცილი ქათმები. უეჭველია ყველა ეს სიმყრალე ტფილისის ჰაერსაც მოსწამლავს. იმედია, „სადაც ჯერ არს“ მისწვდება ხმა ულონო ხალხისა და რამე ღონეს აღმოუჩენენ სიბინძურისა და ქურდობის ასალაგმავად. **იქაური.**

# მადლობის მოხსენება

განუსაზღვრელ და უგულითადესს მადლობას მოვახსენებ ყველა იმ საზოგადო დაწესებულებათ, საზოგადოებრივ ჯგუფებს და კერძო პირთ, რომელთაც პატივი დამდეს და მონაწილეობა მიიღეს ჩემს საიუბილეიო დღესასწაულში პირადის დასწრებით, წერილობით და დეპეშათა მილოცვით.

ჩემს აღფრთოვანებულ მადლობას მივუძღვნი აგრეთვე ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, საიუბილეო კომიტეტს და ამხანაგ-მსახიობებს, რომელთა თაოსნობით და სათანაგრძნობო შრომის წყალობით წილად მხვდა უდიდესი ბედნიერება,—რომ საზოგადოების მიერ დაფასებულ და აღიარებულ იქმნა ჩემი მცირე მოღვაწეობა სამშობლო ხელოვნების ასპარეზზედ.

**ქართულ თეატრის მსახიობი**
**მარიამ საფაროვ-აბაშიძისა.**

# კახეთის ვითარება.

(ს. კარდანახი).

კვირას, 11 მარტს აქ მოხდა კრება ადგილობრივ სკოლის შენობაში ბ.ბ. ი. ფორაქაშვილის და კ. ტყავაძის მეთაურობით; უნდა აერჩიათ კომიტეტი რამდენიმე კაცისაგან შემდგარი, რომელიც კავშირს დაიჭერს ქართულ სამეურნეო საზოგადოების პრაქტიკულ მოღვაწეობასთან. კრებას დაესწრენ სიღნაღისა და ზოგიერთი ახლო სოფლების სწავლულნიც. თ-მა ი. ვაჩნაძემ მიმართა მოკლე წინასიტყვაობით, რომ დრო არის ჩვენ ხალხშიც გაიღვიძოს თვითმოქმედების ძალამ და ჩვენვე ვიზრუნოთ ჩვენს თავზე, თორემ ცხოვრების წინსვლა ზედ გადაგვივლის და გაგვ[illegible]ულეტავს, ვიდრე გარეშე მხსნელის ლოდინში ვიქნებით. ბ-მა კ. ტყავაძემ განუმარტა მიზანი შეკრებისა, გააცნო მოკლედ ქართული სამეურნეო საზოგადოების დანიშნულება და მისი მოქმედების გეგმა და ბოლოს წინადადება [illegible] ძნობთ ამ დაწესებულებას და გინდათ, რომ [illegible] რებთა საჭიროებას დაეხმაროს, აირჩიეთ კომიტეტი, რომელიც სოფლის საჭირო საქმეებს გაითვალისწინებს და როდესაც საჭირო იქნება ქ. სამ. საზოგადოების დახმარებას გამოიყენებსო. მაგალითად, ისარგებლებს საზოგადოების აგრონომის დარიგებით და ხელმძღვანელობით ამა თუ იმ სამეურნეო დაწყობილებაში, აგრეთვე მისი ტექნიკოსებით და სხვა. შემდეგ სხვებმაც დაუმატეს უკანასკნელის ნათქვამს და განმარტეს სხვა და სხვა მხარე ამ საზოგადოების დანიშნულებისა.

კრებამ აირჩია კომიტეტი ცხრა კაცისაგან შემდგარი, რომელშიც ყველა ადგილობრივი მცხოვრებია გარდა კ. ტყავაძისა, რომელმაც თანხმობა განაცხადა აქაც და სხვა სოფლებშიაც მუშაობისა.

სასურველია სხვა სოფლებმაც მიჰბაძონ ს. კარდანახს. აღსანიშნავია ერთი მოვლენა ამ კრებაზე: როდესაც მომხსენებელმა მიჰმართა ხალხს, აირჩიეთ კომიტეტიო, ხალხიდგან რამდენიმე ხმა გაისმა: „თუ კარდანახში სანერგეს გაგვიმართავენ, მაშინ ავირჩევთ, თუ არა და ეგ „კომიტეტი“ რად გვინდაო: ეს სიტყვები იმისთვის გამოვარჩიე კრების შინაარსიდან, რომ **ვასმინო ქ. ს. საზოგადოების მთავარ გამგეობას.** ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს სწავლულთა თეორიულ ზოგად სასურველ გეგმებს. იგი ყოველთვის სარგებლობისა და ნიშანდობლივი ნაყოფის თვალით აფასებს ყოველგვარ ჩვენს დაწყობილებას: იმას ურჩევნია ერთი სანერგე სინამდვილეში ნახოს, ვიდრე აგრონომისაგან ნაამბობი და „მომხიბლავი ფარნით“ „ბუნდოვანად“ (მისთვის) დასურათხატებული ფილოქსერის გავრცელების ისტორია და ევროპის იდეალური მეურნეობა და მისი ნაყოფი. და თავისებურად მართალიც არის **ჩვენი** ხალხი თავისი სკეპტიციზმით და უტილიტარული მსოფლმხედველობით, მაგრამ ამაზედ მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

დასასრულ ვუსურვებთ ბ-ნ ი. ფორაქაშვილს შეირჩინოს მან ის მხნეობა და ური, რომელიც მას პირველი დაკვრებით ემჩნევა, მით უმეტეს, რომ ას მიუღია სპეციალური სამეურნეო სწავლა და შინაური გარემოება, როგორც სჩანს ხელს უწყობს თავისი კარგი მამულით და მოსავლით და მაშასადამე ქონებრივ უზრუნველყოფი-

# მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

**„მესამოციანნი“**

**ნაწილი მეორე**

(„დროება“ 1866—1876 წ., „მნათობი“ 1869—1872 და „კრებული“ 1871—1873 წ.)

X.

(დასასრული)

ახლა დანამდვილებით შეიძლება იმისი თქმა, რომ 1877 წლიდან იწყება დაქსაქსვა მესამოციანებისა. ირღვევა და იშლება იდეიური ჯგუფი, რომელიც 1861 წლიდან მოყოლებული მოღვაწეობდა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე. პირველი ხანა ამ ჯგუფის მოღვაწეობისა დახასიათდება, აზროვნების ფარგალში, სხოლასტიურ აზროვნების წინააღმდეგ გალაშქრებაში, ხოლო, სოციალურ საკითხთა ფარგალში, ბატონ-ყმურ საქართველოს უარჰყოფაში. მეორე ხანა ამ ჯგუფის მოღვაწეობისა გამოისახა მოქალაქობრივ და საზოგადოებრივ იდეალების გამორკვევაში და იდეიურ ხელმძღვანელობაში ყოველგვარ საკულტურო დაწესებულებისა, რორომელიც კი იბადებოდა ჩვენს საზოგადოებაში. 1877 წლამდე მოსჩანს მთლიანობა და ერთობა, მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა კერძო პირთა შორის სხვა და სხვა საკითხთა გარკვევის დროს. ზოგსა ჰგონია, ვითომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენში ორი დასი გამოსულიყოს—„საქართველოს მოამბის“ ერთი, ხოლო „დროების“ მეორე. მაგრამ ჩემის აზრით, ამგვარ აზრს არავითარი საფუძველი არა აქვს. თუ იმას იტყვით, რომ ჭავჭავაძის აზროვნება განსხვავდებოდა დანარჩენ პუბლიცისტების აზროვნებისაგან, რატომ გავიწყდებათ რომ ამგვარი განსხვავება მარტო ჭავჭავაძის თვისება არ იყო. ნ. ნიკოლაძეც, მაგალითად, არა რჩება „დროება“-ში და როდესაც 1878 წელს მან „Обзоръ“-ი დაარსა, ს. მესხიმ ბრძოლა გამოუცხადა ამ გაზეთს. ერთობრივი და ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედება მესამოციანებისა იყო მხოლოდ 1877 წლამდე. შემდეგში კი თვითეული მოღვაწე (ჩვენ სახეში გვყავს ჟურნალისტი კი უმთავრესი პუბლიცისტები) დამოუკიდებელი გზით მიდის, თუმცა დროგამოშვებით შემდეგშიაც პატარა ხანს უერთდებიან ერთმანეთს (1880 წელს დროება-ივერიის გაერთიანება).

1863 წელს პირველი დასი გამოვიდა, ხოლო 1866 წელს მეორეო. საკვირველი გაუგებრობაა. დასი სოკოსავით ხომ არ იზრდება, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში ორი **სხვა და სხვა მიმართულების** ჯგუფი დაბადებულიყო ჩვენში. ყოველი ჯგუფის გაჩენა და სამოღვაწეოდ გამოსვლა ცხოვრების პირობებით არის გამოწვეული, მიუცილებელის საჭიროებით. და რა განსხვავებაა ამ მხრით 1863 წლისა და 1866 წლის შორის? არავითარი. დიდი საქმე განახლებისა, დაწყებული ჩვენში ჯერ კიდევ 1861 წელსა, არამც თუ იყო დაბოლოვებული, არამედ თავის განვითარების პირველ პერიოდში იყო მხოლოდ. თაობათა ბრძოლა, 1861 წელს ატეხილი, არ დამცხრალა 1866 წელსაც. თუ იტყვით იმას, რომ „დროებამ“ და განსაკუთრებით „კრებულმა“ ბევრი რამ ახალი შემოიტანეს აზროვნების ფარგალში, ის, რაც „საქართველოს მოამბეში“ არ იყო, ამაში დაგეთანხმებით, მხოლოდ ეს გარემოება მარტოოდენ იმას მოასწავებს, რომ ახალი თაობა, 1861 წელს გამოსული და ისინი, რომელნიც გზა და გზა მას ეპატებოდნენ, 1863 წელს და 1866 წელს, განვითარების უნარით ყოფილან დაჯილდოვებულნი და დროთა მსვლელობაში იქნენდნენ და ითვისებდნენ ახალს და კარგს. ეს იყო ერთის იდეიური ჯგუფის განვითარება და ევოლუცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თანამშრომლობა ილ. ჭავჭავაძისა ჟურ. „კრებულში“ (1871—1873), სადაც ახალი თაობის აზროვნება თავის უმაღლეს განვითარების საფეხურს მიაღწია. მაშ თავი დავანებოთ ლეგენდებს ორი დასის გამოსვლის შესახებ და მივაქციოთ ყურადღება უფრო იმას, რომ იმ ერთი დიდი და დამსახურებული იდეიური ჯგუფის ცხოვრებაში დადგა ისეთი დრო, როდესაც ამ ჯგუფის დარღვევა და დაქსაქსვა უტყუარ ისტორიულ ფაქტად გახდა. რატომ მოხდა ეს? განა სავსებით აასრულა ამ ჯგუფმა თავისი კულტურული მისია? განა ახალი რამ იშვა და დაიბადა ჩვენში, რამაც გამოიწვია იმ ჯგუფის დარღვევა? უნდა ვსთქვათ, რომ კულტურული მისია ჯგუფს შესრულებული ჯერ კიდევ არა ჰქონდა. 1877 წელსაც, როგორც ადრე, ჩვენში უფლებრივი ყოფილება ახალი საქმე იყო, ხოლო ეროვნული დევნა ახლა უფრო საგრძნობელი გახდა. (საშუალო სასწავლებლიდან ქართულ ენას სდევნიდნენ, „დროებას“ კითხვისათვის სემინარიიდამ შეგირდებს ითხოვენ და სხვა). ქართული ლიტერატურა ახლაც ჰსაჭიროებდა ახალი თაობის შეერთებულ შრომას და სხვ. მიუხედავად ამისა ჯგუფი ირღვევა. ამბობენ, ბანკი დაარსდა, ჭავჭავაძემ „ივერია“ დაარსა ბანკის გულისათვის, მის დასაცავად. ბანკს ბევრი მოპირდაპირე გამოუჩნდა და ბანკმა დაჰყო ორ ბანაკად ჩვენი ინტელიგენციაო. ეგეც მართალი არ არის, თუმცა იყო ერთი ხანა როდესაც ბანკს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ საზოგადოებაც დაიყო ორად, მაგრამ ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ოთხმოციანების მიწურულებში. ახლა კი ჩვენ ვართ მხოლოდ საქმის დასაწყისში. და მესამოციანებს ალბად სხვა რამეც ჰქონდათ ერთმანეთის წინააღმდეგ სათქმელი და თუ განშორდნენ ერთმანეთს ბანკის გულისთვის კი არ გაშორდნენ, არამედ სხვა უფრო დაფარულ და უჩინარ მიზეზის ძალით. საინტერესოა, რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს“, რომელსაც კი კისრულობენ ქართველები. ეს მიზეზი რომ გარკვეული იყოს ჩვენ ივის, იქნება უფრო გასაგები გახდებოდა მაშინ ფაქტი მესამოციანების დაქსაქსვისა და საზოგადოდ ფაქტი „ჯგუფობრივ საქმეების“ ქართველებში სისუსტისა და გაუტანლობისა.

ამ საგნის გარკვევაში დიდ სამსახურს გაგვიწევს ანალოგია. საინტერესოა, თუ შევადარეთ რუსეთის ინტელიგენცია ჩვენებურს, თუ შევადარეთ, ასე ვსთქვათ, ფსიხოლოგიური შინაარსის და თვისებების მხრით, ამ შემთხვევაში პირველისავე შეხედვით აშკარაა, რომ ჩვენს წინ ორი სხვა და სხვა ფსიხოლოგიური ტიპის მოვლენაა. შესაძლებელია შედარება უფრო გავაფართოვოთ და ვსთქვათ, რომ საზოგადოდ ქართველი და რუსი სხვა და სხვა ფსიხიური ორგანიზაციის მატარებელნი არიან. მაგრამ აქ შედარების ფართო ნიადაგზე დგომა უფრო ძნელია. მაშინ, როდესაც რუსის ხალხის ხასიათი ღრმად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალებით, ჩვენსაზე იგივე არ ითქმის. არ არის აგრეთვე სავსებით შესწავლილი ჩვენი ისტორიული წარსულიც. უკანასკნელად ბევრი საგულისხმო მასალა გამომჟღავნდა. მაგრამ სრულ სურათს ადამიანი მაინც ვერ შეადგენს. რაც შეეხება წარსული ეპოქების შესწავლას ფსიხოლოგიურის მხრით, ზემოდ აღნიშნულ მიზეზების გამო, ეგ საქმე ძლიერ გაძნელებულია. ხოლო რომ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც უკვე გარკვეულია ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, უნდა ვსთქვათ, რომ ძველი ეპოქების ქართველი ადამიანის ფსიხიკა უკიდურესად საამქვეყნოა და ემპირიული ხასიათისაა. ალბად ამგვარი თვისება განვითარდა ხალხის ფსიხიკაში ისტორიული პირობების ზედგავლენით. პატარა ერი, რომელიც მუდამ ბრძოლაში იყო, თავის არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა ვერ იქნებოდა. და ეს თვით ჩვენს წარსულს რელიგიურ აზროვნებასაც ატყვია. ჩვენი რელიგიური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში „ასკეტიზმს“ და „მეუდაბნოებას“ ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა[1], თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან, რომელიც დარაჯი იყო როგორც ხალხისა, ისე ეკლესიისა „ურჯულოთა“ შემოსევის დროს. პატარა, მცირე რიცხოვანი ხალხი დამოუკიდებლად და თავისუფლად ვერ განავითარებდა თავის რელიგიურ აზროვნებას, რომელსაც ნიადაგ უდარაჯებდა განსაცდელი გაქრობისა და განადგურებისა. შავშეთ-კლარჯეთის მეუდაბნოენი ცდილობენ საზღვარი დასდონ საამქვეყნოსა და საიმქვეყნოს შორის, ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მეფეს ბერებთან არავითარი საქმე არა აქვს, რადგან ისინი სხვა და სხვა ღმერთებს ემსახურებიან, მაგრამ მტკიცედ ამ ნიადაგზე ვერ დგნან. ერთ-ერთ კუროპალატს ეურჩებოდა ბერი და მის ბძანებაზე არ ჰსურდა მეფესთან მისვლა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის რჩევით ურჩობას თავი დაანება და აასრულა მეფის ბძანება. ეკლესია იმგვარ პირობებში იყო, რომ მისთვის შეუძლებელი იყო სრული კავშირის გაწყვეტა სახელმწიფოსთან. ამიტომ ჩვენი რელიგიური აზროვნება, თუ არის მისტიკური და მეტაფიზიკური, არის ამგვარი სარწმუნოებრივ და დოგმატიური საკითხებში, ხოლო ეს მისტიციზმი ჰქრება მთავარ საგნის გარკვევის დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც საჭიროა არჩევა: საამქვეყნოსი, ან „სასუფეველისა თისა“,—თუნდ სიკვდილის საფასურად მოპოებულსა. აქ ჩვენი რელიგიური აზროვნება ემპირიულია, ხორცშესხმული, მიწიერი და საამქვეყნო. ილია ჭავჭავაძემ რომ თავისი „განდეგილი“ დაამარცხა, საამქვეყნო მიწების პირველსავე ხილვის დროს ეს აუცილებლობა სწორეთ ზემოაღნიშნულ მოტივებით უნდა აიხსნას. კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება ამ ფსიხოლოგიურ პრობლემას და კარგად გაგვიმარტა, რომ ჭავჭავაძე გამომხატველი იყო ამ შემთხვევაში ქართულ ბუნებისა, ქართულ გენიისა, რომელიც, არსებითად, ემპირიული და საამქვეყნოა. ერამდენიმე მოსაზრება ხელს შეუწყობს ქართველ ინტელიგენციის ხასიათის გამოცნობის საქმეშიაც. ამა არ უნდა, რომ ყოველივე აქ [illegible]ული, ან ის, რასაც ვიტყვი ქვემოდ, ერთ-ერთი შესაძლებელი ჰიპოთეზაა ეროვნულ ხასიათის ასახსნელად. ამიტომ აქ ადგილი აქვს დავებას და მოსაზრებას და არა [illegible]იერულ საბუთს.

ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადაროთ რუს-ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრით საერთო ბევრი რამა აქვთ. თავდაპირველად სჩანს რუს-ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა (ამგვარი უპირატესობა რუსის ხალხს ჩვენ ხალხთან შედარებით არა აქვს). იქ მეტი ღრმება, მეტი თავდადება, ენტუზიაზმი, რწმენა და თავგანწირულება. აქ ზერელეობაა, თავდაჭერა, გულება და ენტუზიაზ-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 550,

1) საქართველოს სინა იმერხევში და შავშეთში და მეუდაბნოების განვითარება მე-VIII—X საუკ.

ლია და არ გახდება იძულებული არსებობის გულისთვის თავის სოფლის გარეთ **ჯამაგირიანი** ადგილი მოსძებნოს, როგორც ეს აუცილებელი ხდება უსახსრობისა გამო ჩვენი ახალგაზრდა სწავლულთათვის.

**ძველელი.**

## ავადმყოფთა მოუზაურობა კახეთში.

წინედ, ხშირად შეხვდებოდით კამეჩებით შებმულ ურემში, შიგ ლოგინში მწოლარე ავადმყოფს, რომელიც თელავისკენ ექიმთან მიემგზავრებოდა. ავადმყოფთ ამოგზაურებდნენ სიცხე-სიცივე და ავდრის მიუხედავად და რა დღე დაადგებოდა განსაკურნებლად წაყვანილ სნეულს, ეს ადვილი გასაგებია. მაშინ ეს გარემოება შეიძლებოდა კიდეც წაგვეხალისებინა, რომ ექიმს და არა მკითხავს მიჰმართეს, რადგანაც წინედ მაზრაში ქსენონები არ იყო გარდა ს. ენისლისა, გლეხი კაცი ექიმს შინ ვერ მიიწვევდა ხელმოკლეობის გამო, რადგანაც ეს ძვირადა ჯდებოდა და ისევ ავადმყოფი მიჰყავდათ მასთან.

ეხლა კი კახეთის გამოლმა სოფლები ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, უზრუნველ ყოფილია, აქეთ მხარეს სამგან მოიპოვება სასოფლო ქსენონი, ახმეტაში, იყალთოში, და ვაჩნაძიანში. ამის და მიუხედავად 28 თებერვალს შემთხვევით თელავის ექიმის კარზე ავიარე და ოთხი ლოგინებით დაბარგული ურემი შემხდა, ავადმყოფები რიგ-რიგად ჩამოჰყავდათ და შეჰყავდათ ექიმის სახლში. კიდევ კარგი ექიმი თუმაჯანოვი შინ დაჰხვედროდათ და მაშინვე იღებდა გასასინჯათ. ამასთან თითო ურემს 3-4 კაცი და დედა-კაცი უტრიალებდა. ყველს გამოვკითხე და იმ რაიონის სულ ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ, სადაც ქსენონია და ემძლოთ ავადმყოფის გატანჯვის მგიერ ქსენონის ექიმი შინ მიწვევა, სხვა არა იყოს რა, ესრამოდენა ხალხი და საჭმელი მაინც აღარ მოსცდებოდა (ავადმყოფსაც ნჯღრევა ასცდებოდა. ერთი მათგანი ფილტვების ანთებით აღმოჩნდა ავად და ჩემ კითხვა—რატომ თქვენს ექიმს არ აჩვენეთ მეთქი, მიპასუხეს, გვყვანდა, შენი ჭირიმე, და ახლა ამასაც უნდა ვაჩვენოთო.

ავადმყოფის მგზავრობა რამდენიმე ვერსის მანძილზე ურმით, სიცივე-სიცხეში, ჯღრევა და გაციება გზაში, დაკურველია უარეს დაჰმართებს ავადმყოფს და ეს გარემოება უნდა აგრძნონ ჩვენმა ექიმებმა და გულმტკივართ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ავადმყოფთა მოგზაურობა.

**დავიწყებული.**

## ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები

**ჩიფუ.** ხმა დავარდა, შეიძლება ჯარისკაცნი აჯანყდნენ, რადგანაც ჯამაგირი არ მიუღიათო. გუბერნატორმა საჯაროდ გამოაცხადა, ფული მივიღე დასარიგებლადაო.

**კულჯა.** ლიანჯოუფუ (ჰანსუს პროვინციაშია) და ტურფანი (ჩინეთის თურქესტანშია) რესპუბლიკას მიემხრო.

**ხარბინი.** მუკდენში ჯაოერსუნის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოაჩინეს. ორი კაცი დააპატიმრეს. სხვებსაც ეძებენ. რადგანაც იუანშიკაისა და ჯაოერსუნს უთანხმოება მოსვლიათ და ჯაოერსუნი სამსახურს თავს ანებებს, მუკდენში მანჯურიის გუბერნატორად ნამყოფი გაჰგზავნეს. იგი ჯაოერსუნს უნდა მოელაპარაკოს და სამსახურში დარჩენა ურჩიოს.

**პეკინი.** ხმა დავარდა, მანჯურთა პარტია მოქმედების დაწყებას აპირებსო. გვარდიას მშვიდობიანად ვერ უჭირავს თავი და ამიტომ პრეზიდენტის ამალა გააძლიერეს. სასახლესთან 1500 ჯარისკაცი და ძველი ჯარის ერთი ბატალიონი სდგას. ისინი გამვლელებს მოსვენებას არ აძლევენ და შიშში ჰყავთ ისედაც ძარცვა-გლეჯის მოლოდინში მყოფი ხალხი.

**ურგა.** ბარგუტთა დეპუტაცია მოვიდა. აღმოსავლეთ მონღოლეთის მთავარი უნდა ჩამოვიდეს, მათ ჩამოსვლას კავშირი აქვს თურმე მონღოლეთის დამოუკიდებლად გამოცხადებასთან. კიახტაურგის გზაზე მისვლა-მოსვლა სწარმოებს, მონღოლეთში მშვიდობიანობაა.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

**რომი.** „ტრიბუნა“ იუწყება კირაინკთან, ბომბას ყურესთან, იტალია მოხერხებულ ადგილების დაჭერას აპირებს, საიდგანაც იტალიის ფლოტი ეგეისა და ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იმოქმედებსო.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ხან-ჯულიანომ განაცხადა: ეხლა მოუხერხებლად მიმაჩნია განმარტების მოცემა საერთო შორისო პოლიტიკისა და ომის თაობაზედაო.

## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება

✦ შეუდგა ბესარიონ გაბაშვილის ბესიკის თხზულებათა ✦ გამოცემას. წიგნი სივრცით 200 გვერდამდე იქნება და გამოვა ნაადგომევს. წინასწარის ხელის-მოწერით წიგნი ღირს 40 კაპ. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ წიგნის გამოსვლამდე 1) წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიებში და 2) „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. წიგნის გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება.

(20—1125—15)

# გაფიცვები

დეპეშები

**ინგლისის გაფიცვა.**

**ლონდონი.** სამთამადნო მუშების კენჭის ყრის შედეგი 21 მარტს გამოჩნდება. სამთამადნო მუშების კავშირს გადაუწყვეტია კენჭის ყრაში არ ჩაერიოს.

**ხელფასის მინიმუმის ბილლი.** ლორდთა პალატაში ინდოეთის საქმეების სტატს-სეკრეტას წინადადება მიუცია ხელფასის მინიმუმის განხილვისა და უთქვამს, იმედია, კანონპროექტს მიიღებთ და მნიშვნელოვანად არ შესცვლითო. ლორდმა ლენსდოუნმა განაცხადა, ოპოზიცია ბილლის მიღებას არ დააყოვნებს თავის შესწორებებითაო.

პალატამ მეორედ განხილვის შემდეგ ხელფასის მინიმუმის ბილლი მიიღო.

რკინის გზათა დირექტორებმა გადასწყვიტეს 21 მარტიდან 27-დე ბარგი აღარა ჰზიდონ, გარდა სწრაფად გასაფუჭებელ ნივთებისა.

ოლდერშოტში ორი პოლკია გამზადებული გაფიცვის რაიონისაკენ წასასვლელად. ქვეითა ჯარის ერთი რაზმი ჩრდილოეთ უელს წავიდა იმ მუშათა დასაცავად, ვინც მუშაობის დაწყებას აპირებს.

**ვალიადოლიდი.** რკინის გზის 4 ათასი მუშა გაიფიცა და ხელფასის მომატება მოითხოვა.

**გაზეთებიდან.**

**ინგლისის გაფიცვა.**

„რუსკია ვედომოსტში“ დაბეჭდილია ბ-ნ დიონეოს წერილი ლონდონიდან. ეს კვირა ინგლისის პარლამენტისათვის არა ჩვეულებრივი იყო. სამინისტრომ ხელფასის მინიმუმის ბილლი შეიტანა პარლამენტში, გარეშე მაყურებელს ძალიან გააკვირვებს სურათი, თუ როგორ შესცვალეს მოქმედება ძნელსა და გაჭირვებულ დროსა. „ტიმსი“ სწერს: „ჩვენ არ გვიყვარს საკანონმდებლო გზით ხელფასის მინიმუმის განსაზღვრა, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. ამნაირად, კონსერვატორები სამშობლოს სიყვარულმა აიძულა „სოციალისტურ“ ზომისათვის მიემართნათ. გაფიცვის პირველ ხანებში ზოგიერთნი ურჩევდნენ რეპრესიულ ზომების მიღებას: მეთაურების დაპატიმრებას, ჯარის გამოწვევას, ტრედ-უნიონების ფულის წართმევას და სხვა.

ეხლა კი მთავრობა ახალ გზაზე დამდგარა. ბილლი ყველას მოსწონს, ოღონდ აქეთ-იქიდან საყვედური ისმის. დამქირავებელნი მუშებს ეუბნებიან: მოგვეცით გარანტია, რომ ხელფასის მინიმუმის შემოღების შემდეგ არ მოერიდებით მუშაობას, თუ მუშა ორ დღეს მოსცდა და საპატიო მიზეზი ვერ წარმოადგინა, ხელფასი დაეკარგებაო. საშუალო კლასები კი ითხოვენ გარანტიას: გაფიცვა მეორედ აღარ მოხდეს და სამედიატორო სასამართლოს დადგენილებას დაემორჩილნენო. გაფიცვა თან-და-თან ძლიერდება. აუარებელი ხალხია დარჩენილი უმუშევრად, საკვირველია გაფიცულთა სიმშვიდე, ისინი ბელადებს ემორჩილებიან, დისციპლინას იცავენ. შოტლანდიაში აქა-იქ შეტაკებაც მოხდა, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო. ინგლისში ეხლა რევოლუციაა, მაგრამ დაუკვირვებელი ადამიანი ვერც კი შეატყობს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

16 მარტი

**ოსმალეთის არჩევნები.**

**სტამბოლი.** სალონიკის ვილაითში, ოლქის ლანგაზას, სოფ. აივალკში, ჟანდარმებსა და ამომრჩევლებს შეტაკება მოუვიდათ. ორი ჟანდარმი და რამდენიმე ამომრჩეველი მოჰკლეს.

სალონიკს ახლო საარჩევნო სადგომში „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის მომხრეთა და ოპოზიციონერებს შეტაკება მოუვიდათ. სამი კაცი მოჰკლეს, რამდენიმე—დასჭრეს.

**მოწაფეთა გაფიცვა.**

**ვენა.** გალიციის უკრაინელთა გიმნაზიის მოწაფენი გაიფიცნენ უკრაინელთა სამასწავლებლო სემინარიის მსმენელ ჩერნის დათხოვნის გამო. ჩერნის დათხოვნის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ნამესტნიკ პოტოცკის მკვლელის სურათს ავრცელებდაო. ლვოვში გაფიცულმა მოწაფეებმა საპროტესტო პროცესია გამართეს.

**ბულგარეთის პარლამენტი.**

**სოფია.** მინისტრ-პრეზიდენტმა გეშოვმა, მეფის ბრძანებით, სახალხო საკრებულოს სესია დახურა. გეშოვმა მეფის ბრძანება წაიკითხა. იგი მადლობას უცხადებს პარლამენტს და დეპუტატებს. ამ სესიაში 125 კანონპროექტი მიუღიათ და 16 ხელშეკრულება დაუმტკიცებიათ.

**ქალთა საარჩევნო უფლების საქმე.**

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში ხელმეორედ გადასასინჯად ქალთა საარჩევნო უფლების ბილლი შეიტანეს. ბილლი საარჩევნო უფლებას ანიჭებს ერთ მილიონზე მეტ ქალს.

**საფრანგეთის სენატი.**

**პარიზი.** სენატმა ერთხმად გადასწყვიტა პოლიციის გასაძლიერებლად ფულის გადადება.

**ავსტრია-უნგრეთის პალატა.**

**ვენა.** პალატის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა და გერმანელებმა ნაციონალისტებმა ერთმანეთის წინააღმდეგ დიდი აურ-ზაური ასტეხეს, რამაც სხდომის დახურვა გამოიწვია.

**რ უ ს ე თ ი**

**თეატრის გადაწვა.**

**არხანგელსკი.** მთლად გადაიბუგა პეტრე I სახელობის სახალხო სახლი, რომელიც ხალხში მოგროვილ ფულით იყო აგებული. ამ სახლის კურთხევას აღდგომის მეორე დღეს აპირებდნენ. ზარალი 60 ათასი მანეთია. ცეცხლი გაჩენილა დაგდებულ პაპიროზისაგან.

**გაზეთების დაჯარიმება.**

**პეტერბურგი.** ყადაღა დაადეს გაზ. „ზვეზდის“ 15 მარტის ნომერს. რედაქტორი სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების 1034 მუხლის პირველ პუნქტის ძალით. ქალაქის უფროსმა დააჯარიმა 25 თუმნით „სოვრემენნი მირი“, შემდეგის წერილისათვის: „დამშვიდება და რეფორმები სკოლებში“. 25 თუმნით დააჯარიმეს აგრეთვე „ვეჩერნეე ვრემია“ წერილ „განმარტოებულისათვის“.

სამოსამართლო პალატამ მწერალ ვოდოვოზოვს 129 მუხლის ძალით ერთი წლით ციხე გადაუწყვიტა „სპრავოჩნაია კნიგა დლია სოციალისტა“-ს გამოცემისათვის.

**პოლიციელთა მოკვლა.**

**ლოძი.** ქუჩაში მდგარ ორ პოლიციელს სამი ბოროტ-გამზრახველი მიეპარა და ბრაუნინგით მოჰკლეს. მოკლულებს მაუზერის რევოლვერები აალეს.

## თეატრი და ხელოვნება

**სალამო-მეჯლისი.**

**ქუთაისი.** 11 მარტს, ი. გრიშაშვილის მიერ გამართულმა „სალამო-მეჯლისმა“ ქალაქის თეატრში დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი: თეატრი სულ გაიჭედა; ბევრი უადგილობის გამო უკან დაბრუნდა.

სალამომ, რომელშიაც სამიოდე პირის გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ახალგაზდა მგოსნები, მწერლები და მსახიობები, მშვენივრად ჩაიარა და საზოგადოება სავსებით დაკმაყოფილა.

სალამო-მეჯლისი შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში ალ. თორაძემ წაიკითხა კიტა აბაშიძის ლექცია შემდეგს თემაზე: „ლეო ტოლსტოი და ილია ჭავჭავაძე“. მეორე განყოფილებაში ჩვენმა სახელოვანმა მგოსანმა აკაკიმ წაიკითხა ორ-გვარი გლოვა: გლოვა მეფე ერეკლესი და თანამედროვე საზოგადოებისა. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა საყვარელი მგოსანი. აკაკის მოჰყვნენ: დავით კლდიაშვილი (წაიკითხა ნაწყვეტი თავის მოთხრობიდან), პ. ცახელი (წაიკითხა საკუთარი ლექსი), ნ. ჩარექოვისა, ნ. ლორთქიფანიძე (ორი „მინიატიურა“), თაგუნა (თავისი იუმორისტული ლექსები), ვ. რუხაძე (ლექსები), დ. მესხი („სიზმარი“), ს. აბაშელი (ლექსები), ჯ. ჯორჯიკია („ერთი ქალი“), გუცა (ლექსები), გ. ტაბიძე (ლექსები), ი. ზარდალიშვილი (სილოვანის ლექსი) და ი. გრიშაშვილი (საკუთარი ლექსები). დიდი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით ბ. გრიშაშვილის მიერ წაკითხულმა ლექსებმა, რომლებიც ნამდვილი ზღვაა პოეზიისა. მასთან ძლიერ იშვიათად გვინახავს, მოგვისმენია ასე მოხდენილად, ასეთის გრძნობით წაკითხული ლექსები. მშვე-

---

ზმი ხან-მოკლე თავის თავის დაზოგვაა. შესაძლოა ეს ძველისძველად გადმოცლი და ჩვენ დროში ახლად გამოძებულ პატარა-რიცხოვან ერისვის დაცვის ინსტინქტის გაფურჩა. მაგრამ ჩვენ მიზეზებს არ ვიევთ.

წინდაწინვე ვსთქვათ, რომ ლაპარაკი გვაქვს ცხრამეტე საუკუნის ინტელიგენზე. მეოცე საუკუნის „მოძრაობ აქ სახეში მისაღები არ უნდა ა, რადგან მაშინ მღელვარება თავგანწირულება საზოგადო მოვლ იყო, ეს იყო ხალხური სტიქრომელსაც აჰყვა ინტელიგენციაენ უნდა ავიღოთ ის ხანა, როდე როგორც იყო ერთ დროს რუსი, ინტელიგენცია სრულის განმარტოებულ ჯგუფს შეადგე რომლის წინააღმდეგ სასტიკ ძოდა მთავრობა და ხალხი კი სრულებით არ თანაუგრძნობდ

როდესაც 18 „დეკაბრისტებმა“ მოაწყეს პირი შეთქმულება და თავიანთი სისხლიც შესწირეს ამ საქმეს (ზოგთ ალრჩეს, ზოგი კატორგაში დეს) ვინმე გრ. რასტოპჩინი დათ ამბობდა: საკვირველია, საფეთში „ბრბომ“ მოახდინა რევოლუცია გაბატონებულ კლასების პრივილეგიების ჩამოსართმევად, აქ კი არისტოკრატია *) თვითვდილობს თავისი უპირატეს „ბრბოს“ დაუთმოს და სხვ. რუსი ინტელიგენტი თვე თავგანწირული ადამიიგი ავადმყოფია ქვეყნიურ ულობის გამო. იგი არ ითვისებს ნარებს უსამართლობაზე დაულ ქვეყანას. გერცენი პატარ მგრძნობიერი ყმაწყილი იყო. ხელ პატარა

*) „დეკაბრისტების ლესობა არისტოკრატიის წრეს ეკუთვნ

ორგარიოვთან ერთად მოსკოვში, ვორობიოვის მთაზე უსეირნია და იქ ამ ორ ყმაწვილს რაღაც არა ჩვეულებრივი სულიერი განწყობილება აღეძვრათ, თითონ გერცენი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „მზე ეს იყო წვებოდა. ეკლესიების გუმბათები ბრჭყვიალებდნენ, უსაზღვრო სივრცეში იშლებოდა დიდი ქალაქი, მთის ძირში. საამო ნიავი სახეს გვიგრილებდა. ჩვენ ვიდექით, ვიდექით, ერთმანეთს მიუახლოვდით და უეცრად, გადახვევის დროს, ფიცი მივეცით ერთმანეთს აი, აქ, მთელი მოსკოვის წინ, რომ სიცოცხლეს შევწირავთ იმ ბრძოლაში, რომელიც უკვე არჩეული გვქონდა“. (იხ. Героическій характеръ рус кой литературы, ტ. I გვ. 127 Венгерова). ან გეხსომებათ „მწვანე პატარა ჯოხის“ ამბავი ლ. ტოლსტოის სიყმაწვილიდამ. მის უფროსს ძმას ნიკოლინკას ერთი პატარა შტო მოუჭრია, მწვანეთ გაუთლია და ზედ გაუკეთებია რაღაც საიდუმლო წარწერები და ეს ჯოხი ჩაუფლავს სოფ. იასნი პოლიანაში, იქ, სადაც ახლა ასაფლავია ლ. ტოლსტოი. ამ ჯოხის წარწერა თურმე ნიშნავდა: საიდუმლოებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ადამიანს არავითარი უბედურება აღარ მიეკაროს, რომ არასოდეს არ ჩხუბობდნენ და არ ჯავრობდნენ და ყოველთვის ბედნიერნი ყოფილიყვნენ“. ლ. ტოლსტოის თავის ბავშვობაში ბევრი უძებნია ეს ჩაფლული ჯოხი, მაგრამ ვერ მოუნახავს. (ibid, გვ. 188).

ან რა შეედრება თავისი სიდიადით, თავისი წვალებრივობის ნიშნებით და თავისდადებით იმ მოძრაობას, რომელიც გაჩნდა რუსეთში 1872—73 წლებში, როდესაც მთელი ინტელიგენცია, ქალ-ვაჟიანათ, ხალხისაკენ გაიწია და ხალხი უნდოდა აემაღლებინა, განათლებინა და აემოძრავებინა უკეთესის მომავალისათვის? „ხალხში სიარული“ ეს ის არ არის, რასაც დღეს კულტურულ მუშაობას ეძახიან (ბიბლიოთეკა-თეატრების გამართვა). არა, მიდიოდნენ გლეხკაცობაში, მათთან ერთად მუშაობდნენ და ქადაგებას ეწეოდნენ, მიდიოდნენ ქარხნებში უბრალო მუშებათ და აუტანელ პირობებში თავიანთ მისიას ასრულებდნენ. ტურგენევს ერთ თავის პროზაიკულ ლექსში (Порогъ) მშვენივრად აქვს აღბეჭდილი იმ დროინდელ სულიერ ვითარების სიდიადე. უზარ-მაზარ, მახინჯ სახლის გახსნილ კარის წინ დგას მშვენიერი ახალგაზდა ქალი. საიდუმლო ხმა აფრთხილებს და ეუბნება, რომ მოერიდოს დერეფანს, ნუ შევა ღია კარებში, იქ „სიცივე, სიმშილი, მძულვარება, დაცინვა, ზიზღი, შეურაცყოფა, საპყრობილე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილია“. მაგრამ ქალი არ დრკება. მას არ უნდა „არც მადლობა, არც შებრალება, არც სახელი“.

— მაშ რომ გაჭირდეს, სისხლის დანაშაულობასაც ჩაიდენ?

— ქალმა თავი დაღუნა.

პატარა ხანს უკან, საიდუმლო ხმა განაგრძობდა: ის კი იცი, რომ შემდეგში იქნება რწმენა დაგეკარგოს და აღარ ინდომო, რაც დღეს გინდა, და მაშინ იგრძნობ, რომ მოსტყუვდი და უქმად და უპე ახალგაზდა სიცოცხლე.

— ეგეც ვიცი. და მაინც მინდა კარებში შესვლა.

— შედი.

ახალგაზდა ქალი ფეხს გადადგამს და მძიმე ფარდა ჩამოეშვება.

— „სულელი“!—წამოიძახა ვილაცამ უკანიდამ.

— „წმიდა“!—საიდამაც გაისმა პასუხად. (ibid, გვ. 162). დაგვეთანხმებით, რომ ამგვარ ფსიხიკაში არის რაღაც არა-ჩვეულებრივი, თითქოს რელიგიური ხასიათის ენტუზიაზმი, რომელიც ზიზღით უყურებს პირად ბედნიერებას, პირად სიცოცხლეს. და უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს საერთო თვისებაა რუსეთის ინტელიგენციისა,—თვისება რომელიც გამოისახა როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარესზე, ისე კაზმულ სიტყვაობაში, სადაც საკვირველის და გასაოცარის სიღრმით სხვა და სხვა ეთიკური პრობლემებია წამოყენებული.

ამ ხასიათის ფსიხიური მიდრეკილება აწინდელ ქართველის სულის განწყობილებას არ ეგუება. ძველად უნდა ყოფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათები. ჩვენი წარსული ისტორიის ზოგიერთი მომენტები ნამდვილი გმირული თვისებისაა. უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, დაწყლულუ-ლი ხალხის ტანჯვით და სევდით, უნდა ყოფილიყვნენ მამულიშვილნი, რომელთათვინაც პირადი სიცოცხლე არ არსებობდა და, რომელნიც სიხარულით სდებდნენ თავებსა მამულის კეთილდღეობისთვის. ნამდვილად იყვნენ ამგვარი მებრძოლნი. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეგეც ის არ არის, რასაც წარმოადგენს რუს ინტელიგენტის ფსიხიკა. ომიანობის დროს, როდესაც ყველანი დიდადამ პატარამდე, მმართველ წრეებიდამ ყმებამდე ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი ვაჟკაცობის და თავგანწირულების გამოჩენა ერთი საქმეა. ხოლო მეორე თავდადებობის გამოჩენა მაშინ, როდესაც ირგვლივ არამც თუ თანაგრძნობა არ არის, თავისიანების მხრით დევნა და სასტიკი მოპყრობაა, როდესაც ხალხი, რომლისთვისაც სწირავ თავს და ჰღუპავ სიცოცხლეს, შენვე დაგცინის და გაფურთხებს. ამ პირობებში უანგარო თავდადებობის თვისებების აღმოჩენა და უმწვერვალეს ზომამდე მათი განვითარება სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავის გმირულის ხასიათით არ შეედრება სამხედრო ხასიათის გმირობას.

ხოლო ახალ დროში ჩვენი ხასიათი შესამჩნევად დაწვრილმანდა. ჩვენშიაც იყო 1832 წ. „შეთქმულება“. ჩვენებურ მამულიშვილებს სწადდათ საქართველოს „განთავისუფლება“, მაგრამ რა ბავშური იყო მათი ოცნება და რა გულუბრყვილო მათი პოლიტიკური აზროვნება! უმეტეს შემთხვევაში, ნადიმებსა და სადილობის დროს სწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, ღვინით შეზარხოშებულებს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე. ხოლო შემდეგში, როდესაც ოცნების ფრთები შემოაჭრეს, რა მალე დამშვიდნენ, რა წარმატებით და გულმოდგინეობით ემსახურებოდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო ასპარესზე იმავ მთავრობას, რომლის წინააღმდეგ გუშინ ილაშქრებოდნენ... მეოცე წლეებში ახალი ტიპის ახალგაზდობა გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვილი ინტელიგენციაა. წინა წერილებში ჩვენ საკმარისად ნათელი ვყავით ის აზრი, თუ რა დიდი კულტურული საქმე გააკეთა ამ ახალმა თაობამ, პირველმა ჯგუფმა ნამდვილ ქართველ ინტელიგენციისა. მაგრამ, თუ შევადარეთ ჩვენი იმ დროინდელი ინტელიგენცია რუსეთის ინტელიგენციას მესამოცე წლებისას. აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს სხვა და სხვა ტიპის ინტელიგენციებთან. არც უარ-ჰყოფაში, არც რისამე აღიარებაში ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოღიკურ უკანასკნელ დასკვნამდე, იგი მიდიოდა საშუალო გზით. ეს იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგა კულტურულად და სულიერ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის ინტელიგენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, ხოლო უმალვე ჰქრება. მისი ენტუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიხიური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრივობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება. ვიმეორებ, შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს უკულტურობის ნიშანი იყოს, მაგრამ უკულტურობის გარდა აუცილებლივ საჭიროა ეროვნულ თვისებების მხედველობაში მიღება. ქართველი ინტელიგენტი არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები აი ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც დგას. მას უყვარს მზე,

ნიერი იყო ვ. რუხაძის მიერ წაკითხული ლექსი „ქუჩა“; მოეწონა საზოგადოებას ქ-ნის ნ. ჩარექოვის მეუღლის მიერ რუსულად წაკითხული მისივე ნათარგმნი ლექსები აკაკისა. გრძნობიერად, რიხიანად წაიკითხა ი. ზარდალიშვილმა სილოვანის ლექსი, მხოლოდ ხანდისხან მარცვლებს უმატებდა ან აკლებდა და ამით რითმას ღალატობდა. დ. მესხის „სიზმარმა“ გაამხიარულა საზოგადოება, მაგრამ სიზმრის ბოლომ კი ჩაამწარა მას ეს მხიარულება (შესახებ იმისა, რომ გაზ. „კოლხიდა“ 500 მანეთით დააჯარიმეს).

მესამე განყოფილებაში ნ. გოცირიძემ შესანიშნავის ხელოვნებით წაიკითხა სომხური სცენები, რითაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ბევრი აცინა საზოგადოება ბ. ვასილ ბალანჩივაძემ თავისი იმერული სცენებით. მეტად სამწუხაროა, რომ ამ ნიჭიერ მსახიობს—კომიკს იშვიათად ხედავს სცენაზე ჩვენი საზოგადოება. ვ. ურუშაძემ წაიკითხა თავისი გურული სცენები, მაგრამ ცოტა „აბედი ჩასველებოდა“. გრიშაშვილის მიერ წაკითხული კინტოური სცენები ხომ შეუდარებელი იყო როგორც თავისი შინაარსითა ისე მშვენიერი წაკითხვით. დასასრულ პ. კორიშელმა და ნ. გოცირიძემ მეტად მოხდენილად იმღერეს „ვაივუის“ ხმაზე საამდროვო კუპლეტები.

## წერილი რედ. მიმართ

### მადლობის ბარათი

ულრმესს მადლობას ვსწირავ იმ პირთ, ვინც პატივი მცეს და მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ ქ. ქუთაისში 11 მარტს გამართულ სალიტერატურო სალამოში. ბ-ნ აკაკის. ქ-ნ ნ. ჩარექოვისას, კიტა აბაშიძეს, დავ. კლდიაშვილს, ცაბელს, დ. მესხს, ნ. ლორთქიფანიძეს, ვ. რუხაძეს, ს. აბაშელს. ჯ. ჯორჯიკიას, გუცას, გ. ტაბიძეს, თავუნას, ი. ზარდალიშვილს, ნ. გოცირიძეს, ა. თორაძეს, შარაბიძეს, ვ. ბალანჩივაძეს, ვ. ურუშაძეს და პ. კორიშელს.

**ი. გრიშაშვილი.**

ნება მიბოძეთ, ბ. რედაქტორო, პასუხი გავცე იმათ, რომელთაც თქვენის პატივცემულ გაზეთისა თუ ცალკე წერილით მოგვთხოვეს განმარტება სხვა და სხვა კითხვებისა შესახებ საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.

1. **სევასტოპოლს. ეპ. კ.** პასუხად კითხვისა „რომელის წყაროს ჩვენებით ნიკიის მსოფლიო კრება 325 წლის მაგიერ ჩვენში ნაჩვენებია 318 წელს“ პატივი მაქვს მოგაგონოთ წმ. ნინოს ცხოვრების სიტყვები (გვ. 14): „311 წელსა წარემართა ყოველი საბერძნეთი ქრისტეანობასა; **მეშვიდესა** წელსა იყო წმიდაჲ კრებაჲ ნიკეას“.

2. **ბელმონტს. ოლივერ ვარდროპს.** მოთხოვნილი თქვენ მიერ ტექსტი უკვე გადავწერეთ და წარვადგინე დასაბეჭდად. რომ დაისტამბება, მოგართმევთ თითო ცალს თქვენცა და მეცნიერს კონიბიერს, რომელსაც იგი დასჭირებია.

3. **კიევი. სტ. ი. ბ.** „ხანმეტური“ ნუსხები სახარებათა ჯერ არა ჩანან, ბიბლიის ისტორია კი ჩვენ დავწერეთ ვრცლად.

4. **ბერნი. მვოსანს ა. შ—შვილს.** სამფსონ ფირცხალავას რომ თქვენთვის უცნობებია ჩემის მოთხრობის „მზეს“ ანუ ძველ ღმერთების შესახებ, იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიბეჭდა კოწია თუმანიშვილის „ივერიაში“, ამავე ღმერთების შესახებ საკმაო ცნობებია ივ. ჯავახიშვილის „ქართვ. ერის ისტორიაში“ და აგრეთვე ჩემს წიგნში „საქართ. ისტორია“, რომელიც წაიღო ახალგაზდა კერესელიძემ შვეიცარიაში გამოსაგზავნად. ჯერ-ჯერობით იმუშავეთ „თევდორე მღვდელზე“ და მერე, თუ დრო მექნება, დანარჩენ კითხვებზედაც მოგწერთ ცალკე წერილით.

5. **შიო ბათმანიშვილს** (სახ. გაზ., № 520). ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნა უეჭველ ფაქტად მიმაჩნია (იხ. ჩვენი წერილი ვალ. გუნიას „ნიავში“ და აგრეთვე ჩვენს უკანასკნ. გამოცემაში). პალეოგრაფ. ტაბულები არ დაიბეჭდა, რადგან ხარჯად უნდება 3000 მანეთამდე, ხოლო ძმათა ეფესელთა შესახებ ქართველთა საეკლესიო მუზეუმის ტყავზე ნაწერ დიდ სვანაქსარში (№ 222) ხსენება შვიდთა ძმათა ეფესელთა დადებულია 23 ოქტომბერს. იქ სწერია: „ამასვე დღესა წმ. შვიდთა ყრმათაჲ ეფესოს, რომელთაჲ სახელები ესე არს: მაქსიმილიანე ძე ეპარხოზისა პრეტორისაჲ, იამბლიქე, მარტინინოს, დიონისა, იოანე, კოსტანტინე, ანტონინე. ესენი იყვნეს დეკეოზ მეფისა-ზე*) და ქრისტეს აღსაარებისათვის შესმენილ იქმნნეს და წინაშე მეფისა წარიდგინნეს. და ვითარი მიიღეს ჟამი განზრახვად თავთა თვისთათვის, ყოველი მონაგები მათი გლახაკთა განუყვეს და მთად აღვიდეს, სადა იგი შევიდეს ქვაბსა და განგებითა ღუთისაჲთა დაეძინა, ხოლო შესავალი ქვაბ-საჲ მის ბრძანებითა მეფისაჲთა აღიყორა**). და დაყვეს დაძინებულთა 372 წელი ვიდრე მცირისა თევდოსის მეფობადმდე*); და ზრუნვასა რაჲ დიდსა შინა იყო მეფე თევდოსი წვალებისა მისთვის, რომელი აღძრულ იყო მას ჟამსა ბოროტად მადიდებელთა მიერ, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ „არა იქმნების აღდგომაჲ მკვდართაჲ“, მეყსეულად ვითარცა რაჲ ძილისაგან აღდგეს წმიდანი ესე შვიდნი ყრმანი და ვითარ იგი განგებულებით განეპო კარი ქვაბისაჲ მის. იცნობა დიდებული იგი საკვირველი აღდგომისა მათისაჲ უმეცრებისა მიერ და რამეთუ ჰგონებდეს ვითარმცა მწუხრსა მას დაეძინა და ვითარმედ დეკეოზ მეფობს ჯერეთცა. ესრეთ მერმისა მის მკუდართა აღდგომისა ქადაგებად გამოჩნდეს და წვალებისა იგი ბნელი უჩინო ყვეს და გულნი მორწმუნეთანი სიხარულითა აღავსნეს. და კუალად უფლისა მიმართ მიიცვალნეს და სამარხო მათდა იქმნა იგივე ქვაბი, ვითარცა იგი პირველ“.

**მ. ჯანაშვილი.**

*) დეკეოზ (დეცი) იმპერატორი მეფობდა 349 წლიდამ 251 წლამდე.

**) ტყავზე ნაწერ სვინაქსარში (№ 193) ეს სიტყვა გაუცხოველებია „აღივსო“-დ.

*) დეკეოზიდგან ამ მეფემდე გავიდა არა 372 წელიწადი, არამედ მხოლოდ 202, რადგან თევდორი მცირე მეფობდა 408 წლიდან 453 წლამდე.

---

ლაყბობა, ოხუნჯობა. იგი გულუბრყვილოა, მაგრამ თავს არ ივიწყებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეთილდღეობა. ამიტომ არის იგი ხშირად ფარისეველი, როდესაც სასწორზე „პირადი“ და „საზოგადო“ იწონება. მას არ უნდა გახსნას და გააქარწყლოს თავისი პირადობა „კრებულობითი დასაწყისში“—ღმერთია იგი, თუ საზოგადო, სახალხო საქმე.

ჩვენში არ იყო არაფერი მსგავსი იმისი, თუ როგორი აღფრთოვანებით იყო აღჭურვილი რუსეთის ინტელიგენცია „ხალხში სვლის“ პერიოდში 1872—73 წელს. უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ გვეთქვა, სამოც-და-ათიან წლებში ქართველი ინტელიგენცია სრულიად არ იზიარებდა ამ ხასიათის აღფრთოვანებას და ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა-თქო. არა, ქართველობაშიაც იყვნენ თავგანწირულნი, მხოლოდ მათ საქართველოში არ უმოღვაწნიათ. ცნობილ პროცესში, რომელსაც უწოდებენ „50 კაცის პროცესს“ ქართველი ახალგაზდებიც არიან—მიხეილ ჩიკოიძე, ალ. ციციშვილი, ივ. ჯაბადარი, გამყრელიძე, გ. ზდანოვიჩი. ვინც ამ პროცესს იცნობს, ეცოდინება ისიც, რომ ჩვენებურ ახალგაზდებს უმნიშვნელო საქმე არ გაუკეთებიათ, ხოლო მათი თავგანწირულების გრძნობა არაფრით არ განირჩეოდა მათს რუს-ამხანაგების გრძნობისაგან. თავის „მოგონებაში“ ივ. ჯაბადარი, სხვათა შორის, ამბობს: „ალ. ციციშვილი ფრიად შეწუხებული იყო ციხეში იმ აზრით, რომ მან ვერ მოასწრო თავის მამულის გაყიდვა და ფულის შეტანა სარევოლუციო ფონდში. მაგრამ მერე მაინც მოახერხა ეს საქმე, ერთის დღის წინად, სანამ სასჯელს გამოუცხადებდნენ, მხოლოდ ისე ცუდად მოახერხა, რომ ჩვენ შემდეგ მომქმედ რევოლუციონერებმა მისი დიდ მამულიდან, რომელიც ათი-ათასად ღირდა, აიღეს მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთი. დღევანდელი მფლობელი ალ. ციციშვილის მამულისა აფასებს მას 200.000 მან. (Процессъ пятидесяти Ив. С. Джабадари. Былое, октябрь, 1907 г.). ჩვენებურები არ ზოგავდნენ თავიანთ თავს, და სამოცდაათიანებში ბევრი ყმაწვილი კაცი გაიგზავნა ციმბირის კატორგაში. ყოველივე ეს იყო და თითქოს ამგვარი ფაქტების არსებობა ძირიანად არღვევს ჩვენ მიერ დახატულ ქართველ ინტელიგენციის ფსიხიურ განწყობილობის სურათს. მაგრამ აქ ფაქტებს ჩემს თვალში ის დიდი ღირებულება არა აქვთ, როგორადაც სჩანს ზერელედ რომ შეეხოთ მათ. აქ არ არის გამორკვეული, რა არის საკუთარი და რა შეთვისებული. რომ მასიური მისწრაფებანი და მოქმედება გადმომდებია, ამაში ეჭვი არ არის. აღელვებული მასა წყნარ და მშვიდ ადამიანს ჩაადენინებს ხშირად არა ჩვეულებრივ საქციელს. მასსიური ფსიხოლოგია იმორჩილებს ადამიანის ნებას და მას აკუთვნებს თავის საკუთარ თვისებებს. ჩვენი ახალგაზდობა სამოცდაათიანებში, როდესაც იგი უკვე შეპყრობილი იყო ამ გადამდებითი სენით, სულით და ხორცით შეეთვისა რუსეთის ინტელიგენციას. და აქ მანაც გამოაშკარავა ყოველივე ის, რაც დამახასიათებელია რუსეთის ინტელიგენცისა. ხოლო რამდენად იყო ეს ბუნებრივი, ე. ი. რამდენად ეგუებოდა ამგვარი ფსიხიური ვითარება ქართულ ეროვნულ ხასიათს, სხვა საკითხია. და სწორეთ აქ იბადება ეჭვი, რომ საკუთარის ინიციატივით, თავის საკუთარ ხალხში ახალგაზდობა ანალოგიურ მოქმედებას მოერიდება. და მართლაც, ჩვენში ამ მხრით დიდი რამ არა მომხდარა რა. მოუმწიფებლობაა ეგ, თუ ეროვნულ განსაკუთრებულ ტემპერამენტის თავისების გამოაშკარავებაა, სწორეთ ეს პრობლემაა გასარკვევი და სწორეთ ამ პრობლემის ნათელ საყოფად გამოვსთქვით ჩვენ რამდენიმე ზემოდ აღნიშნული მოსაზრება.

**არჩილ ჯორჯაძე.**

---

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს, 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 1 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 8 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ, 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 1 ს, 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან;** 1) სამგზ, № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტიითაა (საკუთარ. საწოლებით).

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკითფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევს 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.


## განცხადებანი

### ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჯარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში.**

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთილდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—8)

### სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ბ. გ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. უვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წ ა მ ლ ო ბ ა „606“-ით.**

(100—56—37)

### მემ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 3074.38)

### თევზით ვაჭრობა სპირიდონ ლავრენტის ძე ხუროშვილისა

**სალდ. ბაზარში.** ყოველთვის იშოვება ჩვენს მაღაზიაში და საწყობში **ახალ-ახალი ორაგული,** ზუთხი, თართი, ლოქო, კეფალია ტაბაკა თევზი—(კამბულა) ფარგა, კომრის (გოჯა) და სხვანი.

**— მუდამ იშოვება —**

**ხიზილალა** ქვირითი, წითელი ხიზილალა და ბოჩკის ხიზილალა, გირვანქა მ. 40 კ.

**ზურგიელი** დონისა და ადგილობრივი. **— დ ო შ ი —**

**ცოცხალი თევზი:** ლოქო, მურწა, ფიჩხული და სხვანი.

ტფილისი,

ტელეფ. № 496. (10—1156—4)

### დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

სადგურ გომთან ს. წრომში, სადგურიდან 2 ვერს.

**„გიორგის შრომა“**

სანერგეს აქვს დამზადებული დიდძალი დამყნილი ამერიკული დაფესვებული ვაზი, სხ. და სხ. ჯიშისა. 1) ნამყენი ამერ. ვაზისა, კახური, ქართლ. და ევროპ. ჯიშებისა—ფასი 100—5—7 მან. 2) ამერიკ. ვაზი დაფესვ. 1000—6—10 მან. 3) სადობავი ეკალი (გლედიჩია) 100—3—6 მან.

დაწვრილ. ცნობ. მიმართეთ: **სადგ. გომი** ამიერ კავკ. რკ. გზა) **გიორ. ბეჟან. ტატიშვილს.**

(თ.—1145—8)

### სამშობიარო თავშესაფარი ოსეპ.....ისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(თ. 1646.34)

### სუსუნატის წინააღმდეგ ახალი წამალი „SALO—პიჩილინი“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფშივე ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფით. ცალი 1 მ. და 80 კაპ.

მოქმედობს კარგად ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ დენასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. разъѣжая. № 7 аптека Г. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. არის აფთიაქებში. ნარდად საავთიაქო საწყობებში. Метцль 23672.

(წ. 1161.1)

### 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-**

**ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ლუ...შარიასთან.

რედა... ორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—627—44 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოს...ის ძე თუმანიშვილი.**

### ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსყული თევზი

(წ.—1131—17)

### თევზის მოვაჭრენი ძმ. ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

### სნეულნო უფრთხილდით სიყალბეს

რადგანაც „სპერმინის“ იაფ-ფასიან მიბაძულებას არცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, ხსუცებულების დაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვლოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა** (გუის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), **ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა გონებრივ დაქანცულობისა და სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ **„სპერმინ-პელა“** აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

## სპერმინ-პელი

და არ მისდიოთ მალამოებსა და სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულ საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად,

Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и Сья.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества—Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

Метцль № 1277. (2.1002.7)